

**საქართველოს თავდაცვის მინისტრის  
ბრძანება N MOD 1 16 00001117  
2016 წლის 22 დეკემბერი ქ.თბილისი**

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში მოსამსახურეთა  
პროფესიული განვითარების პროგრამებზე კანდიდატთა შერჩევისა და  
პროფესიული განვითარების პროგრამების მართვის წესის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 12 დეკემბრის N580 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა პროფესიული განვითარების პროგრამების მართვისა და ამ პროგრამებში მონაწილეობისათვის კანდიდატთა შერჩევის პროცესის მოწესრიგების მიზნით,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

ბრძანება N MOD 5 20 00000207 28.02.2020 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

1. დამტკიცდეს თანდართული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში მოსამსახურეთა პროფესიული განვითარების პროგრამებზე კანდიდატთა შერჩევისა და პროფესიული განვითარების პროგრამების მართვის წესი“.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში მოსამსახურეთა პროფესიული განვითარების პროგრამების მართვისა და ამ პროგრამებში მონაწილეობისათვის კანდიდატთა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 15 მარტის N MOD 8 16 00000241 ბრძანება.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრი

ლევან იზორია

პროფესიული განვითარების პროგრამის შეფასების ფორმა

შევსების  
თარიღი

ინფორმაცია სასწავლო პროგრამისა და მონაწილის შესახებ		
1	პროფესიული განვითარების პროგრამის დასახელება	
2	მონაწილის სახელი და გვარი	
3	მონაწილის თანამდებობა, სტრუქტურული ერთეულის დასახელება	
4	მონაწილის საკონტაქტო ინფორმაცია (ელ. ფოსტა, ტელ.)	
5	პროფესიული განვითარების პროგრამის ორგანიზატორი უწყება/ორგანიზაცია, ქვეყანა, თარიღი	

1	გთხოვთ, შეაფასოთ პროფესიული განვითარების პროგრამა ცხრილში მოცემული კრიტერიუმების მიხედვით, ოთხბალიანი სისტემით	
4 - საუკეთესო, გადააჭარბა მოლოდინს, 3 - კარგი, გაამართლა მოლოდინი, 2 - საშუალო, ჰქონდა ხარვეზები, 1 - ცუდი, ვერ გაამართლა მოლოდინი		
N	კრიტერიუმი	შეფასება
1.1	პროფესიული განვითარების პროგრამის (სასწავლო კურსი, ტრენინგის და ა.შ.) შინაარსი	
1.2	სწავლების მეთოდოლოგია	
1.3	გამოყენებული მასალა	
1.4	მიღებული ცოდნის/ინფორმაციის პრაქტიკულობა (თქვენს საქმიანობასთან მიმართებით)	

2	რა მოგეწონათ ყველაზე მეტად პროგრამაში? გთხოვთ, დაახასიათოთ აღნიშნული პროფესიული განვითარების პროგრამის 3 ყველაზე ძლიერი მხარე

3	რა მნიშვნელოვანი ახალი ინფორმაცია/ცოდნა მიიღეთ პროგრამის შედეგად? დაასახელეთ სამი საკითხი/თემა.

4	როგორ გამოიყენებთ მიღებულ ცოდნას/ინფორმაციას თქვენს საქმიანობაში? რას შეცვლით სამუშაო პროცესში? რა სიახლეს დანერგავთ ან რა სიახლის დანერგვას შეუწყობთ ხელს? თუ ვერ გამოიყენებთ, გთხოვთ, განმარტოთ ამის მიზეზი.

5	როგორ უნდა მოხდეს თქვენს მიერ მიღებული მნიშვნელოვანი ახალი ცოდნის/ინფორმაციის გაზიარება თავდაცვის სისტემის სხვა (რელევანტური) თანამშრომლებისთვის?

6	<p>თავდაცვის სისტემის რომელი სტრუქტურული ერთეულისთვის ან/და თანამდებობისთვის იქნებოდა ყველაზე სასარგებლო ამ პროგრამაში მონაწილეობა? შეგიძლიათ მიუთითოთ ერთზე მეტი სტრუქტურული ერთეული და თანამდებობა</p>
სტრუქტურული ერთეული	
თანამდებობა	

7	<p>რომელ სხვა პროფესიული განვითარების პროგრამაში მიიღებდით მონაწილეობას?</p>

<p>დამატებითი კომენტარი</p>

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში მოსამსახურეთა პროფესიული  
განვითარების პროგრამებზე კანდიდატთა შერჩევისა და პროფესიული  
განვითარების პროგრამების მართვის წესი**

**მუხლი 1. რეგულირების სფერო**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში მოსამსახურეთა პროფესიული განვითარების პროგრამებზე კანდიდატთა შერჩევისა და პროფესიული განვითარების პროგრამების მართვის წესი (შემდგომში - წესი) არეგულირებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სამოქალაქო ოფისის სტრუქტურულ ქვედანაყოფში, საქართველოს თავდაცვის ძალების სტრუქტურულ ქვედანაყოფსა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების (შემდგომში - სამინისტროს სისტემა) მოსამსახურეთა საზღვარგარეთ პროფესიული განვითარების პროგრამებში კანდიდატთა შერჩევას და პროფესიული განვითარების პროგრამების მართვას.“;

*ბრძანება N MOD 5 20 00000207 28.02.2020 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;*

2. ამ წესის შესაბამისად, პროფესიული განვითარების პროგრამებში სამხედრო მოსამსახურეთა შერჩევის საკითხი განიხილება იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პროგრამის ხანგრძლივობა ერთი თვე ან ერთ თვეზე ნაკლებია.

**მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები**

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) მოსამსახურე - სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურე, სპეციალური წოდების მქონე პირი და სამოქალაქო პირი;
- ბ) კანდიდატი - მოსამსახურე, რომელმაც გამოთქვა პროფესიული განვითარების პროგრამაში მონაწილეობის სურვილი და აკმაყოფილებს პროფესიული განვითარების პროგრამაში მონაწილეობისათვის დადგენილ პირობებს;
- გ) ქვედანაყოფი - სამინისტროს სამოქალაქო ოფისის სტრუქტურული ქვედანაყოფი, საქართველოს თავდაცვის ძალების სტრუქტურული ქვედანაყოფი და სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი;“;

*ბრძანება N MOD 5 20 00000207 28.02.2020 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;*

დ) პროფესიული განვითარების პროგრამა - სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეთა, სპეციალური წოდების მქონე პირთა და სამოქალაქო პირთა, პროფესიული უნარ-ჩვევების, თეორიული/პრაქტიკული ცოდნის განვითარებისაკენ მიმართული ნებისმიერი საგანმანათლებლო და პროფესიული პროგრამა, კურსი, სტაჟირება, ტრენინგი და სემინარი, რომელში მონაწილეობისთვის საჭიროა

სამოქალაქო პირთა, სამხედრო მოსამსახურეთა და სპეციალური წოდების მქონე პირთა საზღვარგარეთ მივლინება;

ე) განაცხადების გადარჩევა - პროფესიული განვითარების პროგრამაში მონაწილეობის მსურველი მოსამსახურის შესაბამისობის დადგენა ამ პროგრამაში მონაწილეობისათვის დადგენილ პირობებთან.

### მუხლი 3. პროფესიული განვითარების პროგრამის დაგეგმვა

1. ქვედანაყოფის ხელმძღვანელები სამინისტროს სისტემის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა eflow-ს (შემდეგში - eflow) ან სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის საშუალებით მათთან შესული პროფესიული განვითარების პროგრამის შესახებ ინფორმაციას შემოსვლიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში წარუდგენენ სამინისტროს ადამიანური რესურსების დეპარტამენტს.

*ბრძანება N MOD 7 18 00000491 14.06.2018 ძალაშია ხელმოწერის დღიდან და ვრცელდება 2018 წლის პირველი ივნისიდან;*

2. ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია ქვეყნდება სამინისტროს სისტემის შიდა მოხმარების პროფესიული განვითარების პორტალზე (pd.mil.ge), ხოლო ინფორმაცია სამხედრო მოსამსახურეებისათვის განსაზღვრულ პროგრამებთან დაკავშირებით ქვეყნდება სამინისტროს პორტალზე mod.mil.ge.

*ბრძანება N MOD 7 18 00000491 14.06.2018 ძალაშია ხელმოწერის დღიდან და ვრცელდება 2018 წლის პირველი ივნისიდან;*

3. მოსამსახურე უფლებამოსილია:

ა) ხელმძღვანელის ინფორმირებით, შეიტანოს განაცხადი და მონაწილეობა მიიღოს პროფესიული განვითარების პროგრამაში;

ბ) პროფესიული განვითარების პროგრამების მართვისა და საპრეტენზიო კომისიებში 3 სამუშაო დღის ვადაში წარადგინოს პრეტენზია პროფესიული განვითარების პროგრამაში მონაწილეობისათვის ამ წესით დადგენილ შერჩევის პროცესში მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, თუ ეს გადაწყვეტილებები პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენენ მის კანონიერ ინტერესზე.“;

*ბრძანება N MOD 5 20 00000207 28.02.2020 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;*

4. ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განაცხადი, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, ამ წესით განსაზღვრული სამდივნოსთვის წარდგენილ უნდა იქნეს eflow-ს მეშვეობით ქვედანაყოფის ხელმძღვანელის მიერ, ასევე სამინისტროს სისტემის შიდა მოხმარების პროფესიული განვითარების პორტალზე (pd.mil.ge) კანდიდატის მიერ.

*ბრძანება N MOD 7 18 00000491 14.06.2018 ძალაშია ხელმოწერის დღიდან და ვრცელდება 2018 წლის პირველი ივნისიდან;*

#### მუხლი 4. პროფესიული განვითარების პროგრამების მართვის კომისია

1. სამინისტროს სისტემაში პროფესიული განვითარების პროგრამების მართვას ახორციელებს პროფესიული განვითარების პროგრამების მართვის კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) კომისიის თავმჯდომარე - საქართველოს თავდაცვის მინისტრის (შემდეგში-მინისტრი) მოადგილე, რომელიც კურირებს სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტს;

ბ) კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილე - გენერალური შტაბის (შემდეგში - გენერალური შტაბი) უფროსი; "

*ბრძანება N MOD 7 18 00000491 14.06.2018 ძალაშია ხელმოწერის დღიდან და ვრცელდება 2018 წლის პირველი ივნისიდან;*

*ბრძანება N MOD 5 20 00000207 28.02.2020 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;*

გ) კომისიის წევრები:

გ.ა) სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი;

გ.ბ) სამინისტროს ადამიანური რესურსების დეპარტამენტის უფროსი;

*ბრძანება N MOD 7 18 00000491 14.06.2018 ძალაშია ხელმოწერის დღიდან და ვრცელდება 2018 წლის პირველი ივნისიდან;*

გ.გ) გენერალური შტაბის J-1 პერსონალის დეპარტამენტის უფროსი;

*ბრძანება N MOD 7 18 00000491 14.06.2018 ძალაშია ხელმოწერის დღიდან და ვრცელდება 2018 წლის პირველი ივნისიდან;*

გ.დ) სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსი;

გ.ე) სამინისტროს თავდაცვის პოლიტიკისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი;

გ.ვ) გენერალური შტაბის J-7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების დეპარტამენტის უფროსი.

გ.ზ) გენერალური შტაბის სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრის უფროსი;

*ბრძანება N MOD 7 18 00000491 14.06.2018 ძალაშია ხელმოწერის დღიდან და ვრცელდება 2018 წლის პირველი ივნისიდან;*

2. პროფესიული განვითარების პროგრამების მართვის კომისია:

ა) სასწავლო პროგრამების დაგეგმვის მიზნით, ყოველწლიურად, არაუგვიანეს მიმდინარე წლის 31 დეკემბრისა, ადგენს მომდევნო წლის სამინისტროს მოსამსახურეთა პროფესიული განვითარების პრიორიტეტებსა და პროფესიული განვითარების პროგრამების გეგმას და წარუდგენს სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს „თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა“-ს და ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამის ხელმძღვანელობას;

ბ) კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილე - გენერალური შტაბის (შემდგომში - გენერალური შტაბი) უფროსი;“;

*ბრძანება N MOD 5 20 00000207 28.02.2020 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;*

ბ.ა) პროფესიული განვითარების თითოეულ პროგრამაში მონაწილეობის პირობებს (მათ შორის, მოსამსახურეთა წრეს, რომლებსაც უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ პროფესიული განვითარების პროგრამაში);

ბ.ბ) წარსადგენ დოკუმენტაციას და მისი წარდგენის ვადას;

ბ.გ) კანდიდატის მიერ წარსადგენი განაცხადის ფორმას;

გ) უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით ან დაინტერესებული პირის მოთხოვნით, შეისწავლოს პროფესიული განვითარების პროგრამაში მონაწილეობისათვის ამ წესით დადგენილი შერჩევის პროცესი და ამ პროცესში მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერებისა და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით, მინისტრს წარუდგინოს შესაბამისი წინადადებები;

დ) განიხილავს შერჩევის პროცესთან დაკავშირებულ საჩივრებს.

**მუხლი 5.** პროფესიული განვითარების პროგრამაში მონაწილეობისათვის კანდიდატთა შერჩევის კომისია

პროფესიული განვითარების პროგრამაში მონაწილეობისათვის კანდიდატის შერჩევას ახორციელებს სამინისტროში მოქმედი შერჩევის კომისია (შემდგომში - შერჩევის კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ა) კომისიის თავმჯდომარე - სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი;

ბ) შერჩევის კომისიის წევრები:

ბ.ა) სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსი/მოადგილე;

ბ.ბ) სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი/მოადგილე;

ბ.გ) სამინისტროს გენერალური ინსპექციის წარმომადგენელი.“;

*ბრძანება N MOD 7 18 00000491 14.06.2018 ძალაშია ხელმოწერის დღიდან და ვრცელდება 2018 წლის 22 იანვრიდან;*

*ბრძანება N MOD 7 18 00000491 14.06.2018 ძალაშია ხელმოწერის დღიდან და ვრცელდება 2018 წლის პირველი ივნისიდან;*

*ბრძანება N MOD 5 20 00000207 28.02.2020 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;*



## **„5<sup>1</sup> . საპრეტენზიო კომისია**

პროფესიული განვითარების პროგრამაში მონაწილე პირმა შერჩევის კომისიის გადაწყვეტილების გამოტანიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, თუ ეს გადაწყვეტილება პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს მის კანონიერ ინტერესზე, შესაძლოა პრეტენზია წარუდგინოს საპრეტენზიო კომისიას შემდეგი შემადგენლობით:

ა) საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარე - მინისტრის მოადგილე, რომელიც კურირებს სამინისტროს სამოქალაქო ოფისის ადამიანური რესურსების მართვის სტრუქტურულ ერთეულს;

ბ) საპრეტენზიო კომისიის წევრები:

ბ.ა) სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსი;

ბ.ბ) სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი.“.

*ბრძანება N MOD 5 20 0000207 28.02.2020 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;*

## **მუხლი 6. პროფესიული განვითარების პროგრამაში მონაწილეობისათვის კანდიდატების საკონკურსო შერჩევა**

1. კანდიდატების შერჩევა მიმდინარეობს გასაუბრების ფორმით, საკონკურსო შერჩევის საფუძველზე, რომლის პრინციპებია:

ა) კანონიერება;

ბ) სამართლიანობა;

გ) საჯარო ინტერესის უპირატესობა;

დ) საჯაროობა;

ე) გამჭვირვალობა;

ვ) არადისკრიმინაციულობა;

ზ) ობიექტურობა;

თ) მიუკერძოებლობა;

ი) კორექტულობა.

2. შერჩევის კომისიის თითოეული წევრი 0-დან 10 ქულამდე აფასებს კანდიდატს თითოეული კრიტერიუმის მიხედვით:

ა) კანდიდატის შესაბამისობა პროფესიული განვითარების პროგრამაში მონაწილეობისათვის დადგენილ პირობებთან;

ბ) კანდიდატის პროფესიული განვითარების პროგრამაში მონაწილეობის მოტივაცია;

გ) კანდიდატის პროფესიული განვითარების პროგრამაში მონაწილეობის საჭიროება სამინისტროს საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე.

3. კანდიდატის ჯამური შეფასება გამოითვლება ამ მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით კანდიდატის მიერ მიღებული ქულების შეჯამებით. შეჯამებას არ ექვემდებარება იმ კანდიდატის ქულები, რომელმაც ერთ-ერთ კრიტერიუმში მიიღო 5 ქულაზე ნაკლები.

4. შერჩევის კომისია ყველაზე მაღალი (პირითადი კანდიდატი) და მისი შემდგომი (სათადარიგო კანდიდატი) ჯამური შეფასების მქონე კანდიდატების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას, თანხმობის მისაღებად წარუდგენს მინისტრს.
5. თუ შერჩევის კომისიის მიერ კანდიდატი ვერ შეირჩა, ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილი წესით, თავიდან იწყება პროფესიული განვითარების პროგრამაში მონაწილეობისათვის ამ წესით დადგენილი შერჩევის პროცესი.
6. თუ შერჩევის კომისიის მიერ კანდიდატი ვერ შეირჩა და ამასთან, პროფესიული განვითარების პროგრამის შემოსვლიდან კანდიდატის წარდგენისათვის განსაზღვრულ თარიღამდე დარჩენილია 30 დღეზე ნაკლები, კანდიდატის შერჩევა ხდება ამ წესის მე-8 მუხლით განსაზღვრული საგამონაკლისო წესის შესაბამისად.
7. მომდევნო წლის პროფესიული განვითარების პროგრამების დაგეგმვის მიზნით, პროფესიული განვითარების პროგრამის გავლის შემდგომ, კანდიდატი სამინისტროს ადამიანური რესურსების დეპარტამენტს უგზავნის პროფესიული განვითარების პროგრამის შევსებულ შეფასების ფორმას (დანართი N1).

*ბრძანება N MOD 7 18 0000491 14.06.2018 ძალაშია ხელმოწერის დღიდან და ვრცელდება 2018 წლის პირველი ივნისიდან;*

## **მუხლი 7. სამდივნოს უფლებამოსილება**

1. ამ წესის მე-4 მუხლით და მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული კომისიების სამდივნოს უფლებამოსილებას ახორციელებს სამინისტროს ადამიანური რესურსების დეპარტამენტი.

*ბრძანება N MOD 7 18 0000491 14.06.2018 ძალაშია ხელმოწერის დღიდან და ვრცელდება 2018 წლის პირველი ივნისიდან;*

### **2. სამდივნო უზრუნველყოფს:**

- ა) განაცხადების გადარჩევას და პროფესიული განვითარების პროგრამაში მონაწილეობის მსურველი მოსამსახურის დასაბუთებულ ინფორმირებას გასაუბრებაზე დაუშვებლობის მიზეზების თაობაზე;
- ბ) პროფესიული განვითარების პროგრამაში მონაწილეობის მსურველი მოსამსახურის ინფორმირებას მის მიმართ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილების თაობაზე ამ გადაწყვეტილების მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში;
- გ) კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ მხარეს, კომისიის სხდომის ოქმის შედგენას, აგრეთვე კომისიის გადაწყვეტილებების აღსრულებას.

## **მუხლი 8. პროფესიული განვითარების პროგრამების მართვის და მათში მონაწილეობისათვის კანდიდატების შერჩევის საგამონაკლისო წესი**

1. სამინისტროს ადამიანური რესურსების დეპარტამენტი, მინისტრთან, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში შერჩევის კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით, ახორციელებს ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ უფლებამოსილებას, თუ:

ა) შერჩევის კომისიის მიერ კანდიდატი ვერ შეირჩა და პროფესიული განვითარების პროგრამაზე კანდიდატის წარდგენისათვის განსაზღვრულ თარიღამდე 30 დღეზე ნაკლებია;

ბ) პროფესიული განვითარების პროგრამის შესახებ შეტყობინების მიღებიდან პროფესიული განვითარების პროგრამაზე კანდიდატის წარდგენისათვის განსაზღვრულ თარიღამდე დარჩენილია 30 დღეზე ნაკლები;

გ) პროფესიული განვითარების პროგრამის მართვის კომისიის მიერ ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებამდე (გადაწყვეტილების მიღებამდე) პროფესიული განვითარების პროგრამაზე კანდიდატის წარდგენისათვის დარჩენილია 30 დღეზე ნაკლები;

დ) პროფესიული განვითარების პროგრამის მართვის კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან პროფესიული განვითარების პროგრამაზე კანდიდატის წარდგენისათვის განსაზღვრული თარიღი 30 დღეზე ნაკლებია;

ე) პროფესიული განვითარების პროგრამის ხანგრძლივობა 5 კალენდარულ დღეზე ნაკლებია.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში:

ა) სამინისტროს ადამიანური რესურსების დეპარტამენტისათვის შესაბამისი კანდიდატის წარდგენა ხდება eflow-ს მეშვეობით ხელმძღვანელის მიერ, ხოლო სამინისტროს სისტემის შიდა მოხმარების პროფესიული განვითარების პორტალის (pd.mil.ge) ან სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მოსამსახურის მიერ;

ბ) სამინისტროს ადამიანური რესურსების დეპარტამენტი, გადაწყვეტილების მიღების მიზნით, მინისტრს, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში შერჩევის კომისიის თავმჯდომარეს წარუდგენს ინფორმაციას იმ კანდიდატ(ებ)ის შესახებ, რომელიც აკმაყოფილებს პროფესიული განვითარების პროგრამის მინიმალურ მოთხოვნებს.

## **მუხლი 9. სამხედრო მოსამსახურეთა შერჩევის წესი**

1. პროფესიული განვითარების პროგრამაში მონაწილეობისათვის გენერალური შტაბის სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრისათვის შესაბამისი კანდიდატის წარდგენა ხდება eflow-ს მეშვეობით ხელმძღვანელის მიერ ან თვითონ მოსამსახურის მიერ.
2. გენერალური შტაბის სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, გენერალური შტაბის უფროსს წარუდგენს ინფორმაციას იმ კანდიდატ(ებ)ის შესახებ, რომელიც აკმაყოფილებს პროფესიული განვითარების პროგრამის მინიმალურ მოთხოვნებს.

*ბრძანება N MOD 7 18 0000491 14.06.2018 ძალაშია ხელმოწერის დღიდან და ვრცელდება 2018 წლის პირველი ივნისიდან;*

## **მუხლი 10. კომისიების საქმიანობის ზოგადი წესი**

1. ამ წესით გათვალისწინებული კომისიების საქმიანობას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე.
2. პროფესიული განვითარების პროგრამების მართვის კომისიის თავმჯდომარის დროებით არყოფნის შემთხვევაში, მისი მოვალეობის შესრულება ეკისრება კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს.
3. კომისიის წევრის დროებით არყოფნის შემთხვევაში, კომისიის სხდომაში მონაწილეობს მისი დროებით მოვალეობის შემსრულებელი.
4. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, მათ შორის, კომისიის თავმჯდომარე.
5. კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე (რომლებიც არ ეხება კანდიდატთა შერჩევის პროცესს) კომისიის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გამამწყვეტი ხმის უფლებით სარგებლობს კომისიის თავმჯდომარე.